ეკრ

№ 14

შინაარსი:

ეკონომიური მონობა; — შეუბის თავადი ა. — შანშიაშვილისა; სახიფათო ხუმრობა — ს. ყიფიანისა; მხსოვს დექსი — ს. ფაშალიშვილისა; ნუცალ-ხანი — ივ. ბუქურაულისა; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა — იპ. ვართაგავასი; ქარი დაგრგვინავს — გ. მოუსვენარიძისა.

კვირა, 9 მაისი საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ქურნალი 1910 წ.

ეკონომიური მონობა.

—:—

ჩვენში ერსებულ საზოგადო ცხოვრების დამახასიათებელი ძლიერთა ადგილ წარსულობაა. სუსტი, გამოუცდელი, უფლებრივად შეიწროებული გამეფელ-გამომეფლის ლუკმა ხდება. ჩაფარი რა არის, იმასაც კი თავი ისე უკირავს სოფელში, თითქო ერთი ვინმე ზდაპრული დესპოტი იყოს. ამ უუფლებობამ, დარბევამ, ბრალიანის და უბრალოს ერთნაირ შეწუხებამ სოფელი დასცა პოლიტიკურად. მას ადარ ძალუძს თავისი მცირედი უფლებაც დაიცვას, მას ეძნელება წინააღმდეგობა გაუწიოს მისი პიროვნების გამთელველთ და ამჯობინებს ყოველგვარი ხარჯი, ჯარიმა, ქრთამი იხადოს, ოღონდაც თავისი ბუნებრივი მცარცველები დროებით მაინც შეაჩერონ, დააჩუმონ. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ სოფლის უბრალო მახელენიც სოფლის სიმდიდრეს არ ფლანგავდეს, ქრთამს არ იღებდენ, ხალხს არ არბევდენ. სოფელიც ხედავს ყველაფერს ამას, მაგრამ სდუმს, რადგან იცის, რომ ვინც მას აწუხებს, იმას ზურგიც მაგარი აქვს და მასთან ბრძოლაც მეტად ძნელი და სახიფათოა, იმიტომ რომ ვისაც რამე თანამდებობა ჩუგდია ხელში, ის მარტო თავის უფლებას გრძნობს და არას დროს თავისი მოვალეობა არ ახსოვს. არც არის რაიმე ისეთი დაწესებულება, რომელიც მოვალეობას მოაგონებდეს, რომელიც მას განსაზღვრულ კალაპოტში ჩააგდებდეს და რომელიმე მის საქციელს უკანონოდ სცნობდეს სოფელიც სუსტი, შეუგნებელი სდუმს და იხრება ძლიერთა წინაშე. სოფლის თვითმართველობა მათრახის ქვეშ არარად იქცა, სოფელი ვერ ამყალვნებს თავის ზნეობრივ ვინობას და ყოველთვის ის იმარჯვების, ვისაც მათრახიანი სწყალობს. ჩვენდა სამწუხაროდ ამავე დროს ეგრედ წოდებული განთლებული ხალხი, რომელსაც, რაც უნდა იყოს, მეტი თავმოყვარეობა და შეგნება აქვს, სოფელს გაურბის, ერიდება. ოც სოფელს შემოივლით ისე, რომ ვერც ერთ ტოტალოდენ გონებით მომუშავე მეურნეს ვერ იპოვით. „მემრავალჟამიერ“ მემამულენი ხომ სოფლისთვის ღვთის რისხვაა. ამას წინად შემოხვევა გვქონდა გარედ კახეთის ერთს დიდ სოფელში გვენახა ხალხის გულშემატკივარ ინტელიგენტების ხალხის საქმეშიავე ჩარევა. ამ პირო გადაუწყვეტია ისე მოაწყონ !ოფლინ საქმე, რომ სოფლის სიმდიდრე არ იფლანგებოდეს, და რაცა ეს პირნი ეცნობიან სოფლის მოხელეთა მოქმედებას, გაოცებულნი რჩებიან. ისეთი მოხელე არ ეოფილა, რომ ფული ამა თუ იმ წყაროდან შემოსული, არ გაეფლანგა. სოფელს სულ ეფელა ისე ეეურებს, როგორც ედედად დარჩენილ წაწილს ქორი. აი თუნდა წაიკითხეთ „ჩვენი გაზეთის“ შე-26 ნომერში მოთავსებული კორესპონდენტია სოფელ დიდ გავაზიდან. „შიმშილობა, აუტანელი გადასახადები თუმცა თითქმის ეოველ წელს მეორდებოდა, — იწერება კორესპონდენტი, — მაგრამ 1908 წელი მიწასთან გამასწორებელი გახდა აქაურ გლეხ-კაცობისათვის, მთავრობის მამასახლისი ოთხი ჩაფრით, აუტანელი ჯარიმები, დარბევა-აწიოკება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა“. ამ მდგომარეობაში მეოფ სოფელს ვენახების წამალი ესაჭიროება, მან კარგად იცის, რომ მშველელი ამ შემთხვევაში არავინ ჭეავს და ამიტომ ცდილობს თვითონ უპატრონოს თავის თავს, მაგრამ ამ დროს საქმეში „ბნელი ძალები“ ჩარევა და წამალის შეძენას კისრულობენ ბ. ივანე ვახვახიშვილი და მომრიგებელი შუამავალი ბ. თარხნიშვილი. აიღებენ სოფლის ფულს, წამალს ძვირად იეიდიან, გადის დროს და სოფელს ანგარიშს არ აბარებენ. თუმცა სოფლის ანგარიშით დახარჯულია 2496 მან., ხოლო სოფლის ფული კი წაღებულია 4000 მან., მაგრამ წამლებნი მაინც მოვალედ არ სთვლიან თავის თავს ანგარიში მისცენ სოფელს. წვრილ და სხვილ მოხელეთა და ამა სოფლისა ძალიერთა მაერ ხალხის მუდმივმა ეელეფამ ისე მაგარი ფესვები გაიდგა ჩვენს ცხოვრებაში, რომ შესაფერადაც შესცვალა

ხალხის შეხედულება. ამას წინად ერთმა დამსახურებულმა და პატივცემულმა ღენერალმა სთქვა: ჩემ სოფელში აშკარად ამბობენ—ჩვენს ღენერალს ბანკში შენახული აქვს შვიდი მილიონიო და ის კი არ იციან, რომ... აქ შეჩერდა ღენარალი.—ცხადია, ხალხს ვერ წარმოუდგენია სამსახური ისე, რომ ქრთამებს არ იღებენ, არ იპარავენ და ამ გზით არ მდიდრდებოდენ.

ერთი მხრით ისეთმა წესებმა, რომ სამ კაცს თავის მოურა ისე არ შეუძლია, თუ ჩაფარი თავზე არ ადგია, მეორე მხრით თავისუფალმა თარეშმა ყველა ძლიერთა სოფელი დაასუსტეს, უკიდურეს წერტილამდე შეასუსტეს მასში არსებისათვის ბრძოლაში საჭირო თავის დაცვის ალღო. და ხომ მოგეხსენებათ, რომ დასუსტებულ სხეულს ყოველი პარაზიტი ადვილად იმორჩილებს. ისიც მოგეხსენებათ, რომ თუ საღუკმოა. პარაზიტებიც უამრავად მრავლდებიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას. გაზეთებში უთვალავი კორესპონდენცია იბეჭდება სრულიად წვრილმან შემთხვევების შესახებ, ხოლო ისეთ დიდ მოვლენას, როგორც არის მოსავლის გასაღება არავინ ყურადღებას არ აქცევს. იმავე დროს კი ჩვენში კარგა ხანია წესი შემოვიდა. რომ მომავალი წლის მოსავალი წინა წელიწადს იყიდება, თქვენ ბაღი გაქვთ, მოდის ჩარჩი და გეუბნებათ: გინდა ნაღდად აქვე გამირიგდი და მომავალი წლის მოსავალში ორმოც თუმანს მოგცემო. ცხადია, რომ ჩარჩი თუ წინ ფულს იძლევა, მას სახეში აქვს თავის, თანხის სულ რომ არ იყოს, ერთი ათად გადიდება. ამნაირად გამოდის, რომ ბაღის პატრონი ჩარჩებისათვის მუშაობს. სხვა მდიდრდება მისი ოფლით, ხოლო ის ძველებურადვე წლითი-წლობით გაუვლეფილი და ტყავ-გამძვრალი რჩება. მიეცით ამ წვრილ მემამულეთ საშვალება სული მოიბრუნონ, უჩვენეთ გზა ბაზრისაკენ, გაუხსენით კრედიტი და ისიც ფეხზე წამოდგება.

მაგრამ ვინ უნდა მოახერხოს ეს საქმე? თვითმართველობა ჩვენში არ არის. დავაარსეთ ერთი ბანკი, რომელსაც სამეურნეო დავარქვით, მაგრამ შიგ ისეთი პირები ჩავსვით, რომელნიც ყოველივე ცოცხალ საქმეს გაურბიან. ხომ მოგეხსენებათ, ერთი მცენარეა სახელად მორცხვი მიმოზა ჰქვიან. საკმარისია მიუახლოვდეთ, რომ მაშინვე შეიკუმშოს, ხელი არ მახლოვო. ისე ჩვენი სამეურნეო ბანკის გამგენიც. ოღონდ მათ მყუდროებას ნუ დაუშლით და თუნდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა. მკვიდრად ჩაკეტილნი სხედან და ტკბილ საუბრებს შეექცევიან. უსაქმურობა ხომ საერთო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და აბა ვინ უსაყვედურებს მათ.

ამ ნაირად გაიხედ-გამოიხედავ, ვერსად ვერ ჰპოებ ისეთ დაწესებულებებს, რომელსაც შეეძლოს ხალხს უშველოს და გამოიხსნას იმ ეკონომიურ მონობისაგან, რომელშიაც ის ჩავარდნილა. ჯერ-ჯერობით დაგვრჩენია ერთი რამე: საქმე მაინც ჯეროვანად შევისწავლოთ. გაცილებით უმჯობესი იქნება ამა თუ იმ სოფელში მომწყვდეულნი ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი პირნი შეკრებდენ დაწვრილებით და სწორს ცნობებს იმის შესახებ, თუ ვის აქვს მოსავალი დაგირავებული და რა პირობებში თუ ვის როგორ გაუყიდნია წინდაწინვე მოსავალი. ამასთანავე საჭიროა უფრო შეგნებული კულტუროსანი მესაკუთრენი, როგორც მაგ., ქართლში ისაია ფურცელაძე, გამოვიდნენ თავის ბაღების ფარგლიდან და შეეცადონ შეაკავშირონ თავისი თანამემამულენი, რომ საერთო ძალით თავი დააღწიონ იმ განმანადგურებელ წესებს, რომელიც უპატრონობამ, საერთო დაუძლურებამ და შეუძლებლობამ გაამეფა ჩვენში.

შვების თავადი

—:—

ოჰ, მუდამ ტკბილო თავისუფლებავ,
ვით დაგატყვეონ, ცივ ბორკილებში?
არსად ანათებ ისე ძლიერად,
როგორც ამ ბედკრულს საპყრობილეში!.

ბაირონი.

I.

ციხე პირქუში წყალს გადაჰყურებს
გულჩათხრობილი და სევდიანი;
ნიავი მთის თავს დაჰქქვითინებს
თვალცრემლიანი, მსუბუქ-ფრთიანი:

—

— „ჰე სათვლავო, ნესტიანო,
რად მოესწარ ჟამს ბედკრულსა?
ვინ მოსთვალოს, თუ რავდენ შვილს
სულს უშხამავ წამებულსა?
თავისუფლად მე აღვზარდე,
მაღალ მთისა ვასვი წყარო;
დამიბრუნე, რად წამართვი,
მსურს კვლავ ერთი შევიყვარო!
რად მიეცი მწუხარებას?
რას ერჩოდი, რა გინდოდა?
წინად შენით თავს იცავდა
და სიამით ივსებოდა...
დღეს-კი მონა მორეულის
სველს კედლებში იტანჯება;
დამიბრუნე კვლავ მიჯნური,
შეიბრალე, სული ჰხდება“!...

—

ასე მოსთქვამდა მწუხრის ნიავი,
ციხე პირქუში ხმას არ იღებდა;

წყალიტ შესოხოვდა ოხვრა-დუდუნით
და თან შავს ტალღებს კდდეს ახეთქებდა...

II

საჴურობიდეში ზის მოწყენილი
ხალხთა თავადი კეთილ დღეობის,
ხელფეში უდვოოდ დაუბორკიათ
და გაუხდიათ მსხვერპლი მონობის.

მტერს მოუხდია, შეურაცხყვეა
თავისუფლების დიფნის გვირგვინი;
გულს ადარ ულბობს მას, ავ-გესლიანს
ნამუს-ახდილის დედის ქვითინი.

ვიდამ იზრუნოს ობოდ ხალხისთვის?
ქვრივს ვინ შეუშროს ტრემდი მდულარე?
ციხის კედლებსაც უწევს გარედან
ხმა მგლოვიარე და ხმა მწუხარე!..

III

თავადსა სძინავს და ესიზმრება
ტურფა წალკოტი აყვავებული;
იქ შაშვი ჭკვლობს და აქ ბულბული
უძახის სატრფოს ადტაცებული.

ადამის თვალით ჯერ არ ნახული,
წითლად გაშლილა ყვავილთ ბუჩქარი;
შარავანდედით გაბრწყინვებული
შორს კოშკი მოსჩანს უზარმაზარი.

უხილავ ხელით კარი გაიღო,
შვიდნი ასულნი მწყობრად გამოჩნდნენ:
ხელი ხელს ჭქონდათ ჩაწიდებული
და მოხდენილად იდიმებოდნენ.

თითქოს მას კიდეც მოუახლოვდნენ,
გარს უვლიდნენ ტკბილად მღეროდნენ;
ყვავილს აურიდნენ ედემს მოკრეფილს
და თეთრ ბურუსში იმალებოდნენ.

IV

შვების თავადი.

ჭოი ასულნო, სიდან მოსულხართ?
სულს აგრძნობინეთ თქვენ ნეტარება!
აწ რას მაუწყებთ სამხიარულოს,
წყვდიადი ოდეს გამინათდება?

ერთ დროს მეც ვიყავ უმა ბედნიერი,
სიტოცხლეს ვქმნიდი, ვფენდი მზის სხივებს;
ხალხმა თავადად ამომირჩია
და თვის მეუფედ დამაგვირგვინეს.

დღეს-კი წამერთვა თავისუფლება
არ მაქვს სახელი, არცა დიდება,
თქვენ გგავდათ სატრფო და სხვამ მომტაცა,
მისთვის დღეს ვგოდებ, არ მესვენება.

შვიდნი ასულნი.

ჯადოსამყაროს ჩვენ ვართ ასულნი
ერთად ნაშობნი, მარად ერთგულნი...

ზოგს შვებას ვაძლევთ, ზოგსაც სიმდიდრეს,
ზოგს სიყვარულით გული ენთება;
სხვა და სხვა დარგი ხელოვნებისა
მართ-ოდენ ჩვენით წარმოშვება!

ვსტხოვრობთ თანხმობით და განუყოფლად,
ჩვენში არც ერთი არ იჩაგრება;
მოვსულვართ შენთან, გვსურს ბედსა გწოოთ,—
ჩვენი სახელი არის ცხოვრება!

შვების თავადი.

და მე ცხოვრება ტანჯვად გადმექცა,
ტრემდოა ფრქვევა განუწყვეტელი;
მოდით, ასულნო, ობოდ შეუნდვარ,
კვლავ შემაყვარეთ წუთისოფელი!

სიყვარული.

შენ ამ ბადიან ველარსად წახვალ,
ია-ვარდს დაჭკრეფ ახლად გადშლილს;
ერთს შეგიგუებ და შეგიყვარებ,
მკერდს მოგეერდნობი სამით ადგსილს.

ჩვენს სიდიადეს ვერვინ მისწვდება,
ბევრს გულს ადუძრავს შურსა, სინანულს;
დღეს შენ ჩემი ხარ, გრძნობის სხვის გაფრქვევ,
მე მეძახიან წმინდა სიყვარულს.

მშვენიერება.

შენსა სიტოცხლეს მოვქსოვ მრავალფერად,
შუქი ნათელი ამობრწყინდება;
გაგასუტაკებ, გაგხდი ნარნარად,
სახეს დაგქროდეს მშვენიერება!

ხელოვნება.

ხელში ჩანგს მოგცემ, აწკრიალებ,
ღვთიურ სიმღერით შესძრავ სამყაროს;
ხან ტრემდს დაფრქვევ, ხან გაიღიმებ,—
შენს ჭანგის ძალას ვინ შეედარება?!

სიმდიდრე.

ეკლიან გზასა აგიყვავლებ,
და მიგიყენებ გოდება-ჩივილს,
აგიგებ ძვირფასს ადამიან კოშკებს
და თავს დაგადგავ სიმდიდრის გვირგვინს.

და, მაშინ ჭნახე, შენს ეოველს სიტყვას,
ძალა ექმნება და ძლიერება;
დაგიმონავებ სოფელს და ზეცას,
შენზედ მდიდარი არვინ იქნება!

სიბრძნე.

მე აზრსა მოგცემ და დაგაბრძენებ,
ცხოვრების მაზანს მაშინ მიხვდები;
განსაკვრეტ ბუნების იდუმალ ძალს
და ნაზ ოცნებით ცად ამაღლდები!

თავისუფლება.

დღეს არწივი ხარ ფრთებ-მოკვეცილი,
მესმის, ტუკად ქმნილის კვნესა-ვაება;
მეც შენთანა ვარ და შენ უჩემოდ
ვაი, რომ ქვეყნად არ გეცოცხლება!

თავად მე ვძლევ შემომქმედ ძალას,
მონას ვაბრძოლებ, სისხლს ვაღვრევინებ;
ჩემის მახვილით მოურიდებლად
შავს ბოროტებას დავაძლევინებ.
მე ვასულდგმულებ ამაყს მთის შვილებს
და ჩემში ღვივის ბედნიერება;
გაშალე ფრთები! ნუ ხარ მოწყენით,
შენთან არს ერთად თავისუფლება!

შვების თავადი.

ოჰ, რა კარგნი ხართ და მომხიბლველნი!
სულსა მეწვია სიამოვნება;
მკვდრეთით აღვსდგები სამარადისოდ,
უფლება თავად' დამიბრუნდება!
ოჰ, ჩქარა, ჩქარა!... მსურს გავეშურო
და ვანუგეშო დედა ობოლი;
უიმედობით სტირის და სჭკნება,
ვით შემოდგომის ნორჩი ფოთოლი.
ჩემს ერს დაცემულს კვალად აღვადგენ
და ტყვე მიჯნურიც დამიბრუნდება;
შვების სიმღერას დავსძახებთ ერთად,
არც შეიბღალვის ჩვენი უფლება!...

V.

შორს, მთის გადაღმა ცა გაკაშკაშდა,
სხივების ელვით მოჭქრის ცისკარი;
გამოეღვიძა საბრალო ტუსაღს...
ანუგეშებდა მხოლოდ სიზმარი!...

ა. შანშიაშვილი.

სახიფათო ხუმრობა

—:—

(ნოველა)

აფიცერთა საკრებულოში ნელ-ნელა იკრიბებოდნენ №-ის პოლკის აფიცრები.

სიცხისაგან დაღლილ-დათენთილნი აქედ-იქიდან უხალისოდ მიაბიჯებდნენ ისინი შესავლისაკენ, წინ დაწინვე დარწმუნებულნი, რომ ვერც იქ და ვერც ვერსად ვერ იპოვნიდნენ სიგრილესა და მხიარულებას, რაც მათ მეტის მეტად სწყუროდათ, რადგან იმ აგარაკში, სადაც ისინი იმ ზაფხულზე ბანაკად იდგნენ, რაღაცა მიზეზების გამო საავარაკოდ თითქმის არავინ არ მივიდა და აფიცერთა წრეში საშინელი მოწყენილობა სუფევდა.

ერთად ერთი გასართობი ადგილი მათივე საკრებულო იყო, სადაც საღამოობით იკრიბებოდნენ, ყინულში გაციებულ სასმელებს სვამდნენ, თამაშობდნენ ქაღალდსა, ბილიარდს და ხან და ხან ითვრებოდნენ კიდეც.

მთელი შენობის ფანჯრები და კარებები ღია იყო, მაგრამ ოთახებში მაინც შეხუთული ჰაერი იდგა და, თუმცა აფიცრებს უკვე ოც კაცამდე მოეყარა თავი, სრული სიჩუმე სუფევდა, რასაც დრო გამოშვებით არღვევდა სხვა და სხვა ოთახებიდან მონასმენი ბილიარდის შარების ყრუ რახუნი და მაღალი, ბატონური ბრძანებანი:

— ეი, ბიჭო, ლუდი!

— ლიმონის წყალი, ჰეი!

— ცივი იყოს, თორემ ტყავს გაგაძრობ!

ამ ყვირილზე სალდათები მთლად ირეოდნენ. გაოფლიანებული სახეებითა და ხელებით წინ და უკან უშნოდ დარბოდნენ და ყოველ გვარ ბრძანებას რაღაცა შიშით ასრულებდნენ.

დიდ ზალაში, სადაც აქა-იქ გაფანტული იყო ტყავით გადაკრული რბილი სავარძლები, ოთხი აფიცერი სხვა და სხვა კუთხეში მიმსხდარიყვნენ, სახეები მაღლა აეშვირათ და, წყლიდან ნაპირზე გადმოვარდნილ თევზებივით, ჰაერს ხარბად სუნთქავდნენ.

ლაპარაკის გუნებაზე არავინ იყო. ყველანი უცდიდენ იმ ნეტარ დროს, როდესაც დაბინდდებოდა და ახლო-მახლო მდებარე მთებიდან გრილი სიო დაბერავდა. მანამდისინ კი გაყუჩებულნი ისხდნენ სავარძლებში და სცდილობდნენ არ განძრეულიყვნენ და არ გაოფლიანებულიყვნენ. მხოლოდ ერთი მათგანი, დაბალი ტანის, ჩასუქებული, დიდ-ულვაშებიანი შტაბს-კაპიტანი ერთ ალაგს ვერ ისვენებდა, სავარძელში ტოკავდა და ამიტომაც გახურებულ სახეზე გამუდმებით იწმენდდა ოფლსა და ძალზე ქშინავდა.

ბოლოს ერთხელ კიდევ მაგრად შეინძრა სავარძელში, ფეხზე წამოვარდა და დაიყვირა:

— არა, მეტის მეტი უსამართლობაა! მეტის მეტი—ამბობდა ის თავ-ჩაღუნული, თითქოს იატაკს ჩასძახისო.—სამსახურში მე ბევრი უსამართლობა გამომიცდია, ბევრჯელ შეურაცჰყოფაც კი მოუყენებიათ, მაგრამ ეს მეტის მეტია, ეს ყოველ უსამართლობას აღემატება!..

ეს სიტყვები თითქოს ამხანაგებს არ გაუგონია, ყურიც არ შეიბერტყეს, მხოლოდ ერთმა გამხდარმა, ფერ-მიხდილმა აფიცერმა გვერდზე გაჰხედა მას და უხალისო ღიმილით უთხრა:

— შენ კიდევ იმაზე გაქვს ლაპარაკი?

— მაშ რაზე უნდა მქონდეს ლაპარაკი?—ხმას უმატა შტაბს-კაპიტანმა და იმისკენ გასწია—შენთვის ეს არაფერია, რასაკვირველია, მაგრამ ზოგიც მე მკითხე! შენ იცი, ჩემი ცოლი ორსულად იყო ჩემ პირველ შვილზე, ეს ჩინი რომ მივიღე, ახლა ჩემი შვილი გიმნაზიის მესამე კლასშია და გიკვირს, რომ კიდევ ამაზე მაქვს ლაპარაკი? არ მეკუთვნოდა მე როტის უფროსობა? ჰა, შენ გეკითხები,არ მეკუთვ-

ნოდა?—მეტის მეტად ცხარობდა შტაბსკაპიტანი და ხმას თანდათან უწვრილებდა.

ამხანაგმა ქვევიდან ზევით შეხედა ღ იმავე ღიმილით უპასუხა:

— გეკუთვნოდა! მოგცემდნენ კიდეც, მაგრამ რას იზამ, ის პეტერბურგელი მაიმუნი რომ წინ გადაგეღობა!

— მერე? მერე? რად უნდა გადამღობებოდა? რად მისცეს მას უპირატესობა?

— იმიტომ რომ ის გვარდიელია, პეტერბურგელი! — აბრაზებდა ფერ-მიხდილი ამხანაგი.

— ის გამოგდებულია გვარდიიდანაც და პეტერბურგიდანაც!—სთქვა შტაბს-კაპიტანმა იმ კილოთი, რომელსაც მისი აზრით, მთლად უნდა მოეღო ბოლო როგორც ამ ლაპარაკისთვის, ისე იმისთვის, ვიზედაც მათ ჰქონდით ლაპარაკი, მაგრამ ამხანაგი არ სცხრებოდა:

— გვარდიიდან გამოგდებული პრაპორშჩიკი, ჩვენს პორუჩიკს უდრის! პეტერბურგსა და ჩვენს სოფელს შორისაც დიდი განსხვავებაა!—გესლიანად გაიცინა იმან და შემდეგ დაუმატა — მერე დიდი კაცის შვილია, ჩემო კარგო.

შტაბს-კაპიტანი მთლად აინთო.

— მერე რა? მერე რა?

— მერე ისა, რომ კავკასია დღესაც ამაყობს იმითი, რომ პუშკინი აქ დასასჯელად გამოგზავნეს, ჩვენც უნდა ვიამაყოთ, რომ გვარდიიდან ჩვენს პოლკში აფიცრები დასასჯელად გადმოიყვანეს!

— ფუუუ! — მაგრად დააფურთხა იატაკზე შტაბს-კაპიტანმა და გვერდზე გატრიალდა

ამ უკანასკნელ სიტყვაზე ყველა იქ მყოფთ სიცილი წასქდათ და, რომ ეს სიცილი ამხანაგს შეურაცჰყოფად არ მიეღო, ერთმა მათგანმა დაუმატა:

— არა, მართლა და რა როტის უფროსი უნდა იყვეს ეს გვარდიელი ფრანტი. ჯერ ერთი ჩვენი სამსახურისა არა გაეგება რა. მერეა და მაგის თავში არშიყობისა, ცეკვისა და კოხტად ჩაცმა-დახურვის მეტი არა არის რა.

— ეგ არის და! — უცბად შემოტრიალდა შტაბს-კაპიტანი და ისევ ამხანაგებთან მიიჭრა—და იცით კიდევ რა არის? მალე ჩვენს ცოლებს დაუწყებს არშიყობას! აი ნახავთ, აი ნახავთ! ეგ, ეტყობა, ისეთი სალახანა, ისეთი განებივრებული, გასაძაგლებული...

შტაბს-კაპიტანს კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ოთახში რაღაცა ჩოჩქოლი შეიქნა და ყველამ ერთხმად მიაძახეს:

— სსუუ!.. მოდის!

ამ სიტყვებთან ერთად ოთახში შემოვიდა კოხტად გამოწყობილი, ჯერ კიდევ ახალგაზდა აფიცერი.

დაწვენდილი, დასუფთავებული, მოვლილი სახე, ფერ-მიხდილი პირის კანი, ნაღვლიანი და თანაც ამაყი გამომეტყველების ცისფერი თვალები ნათლად ამტკიცებდა, რომ ის მაღალ წრეს ეკუთვნოდა და ამ კრებულში და ამ მიყრუებულ ადგილში მხოლოდ შემთხვევით მოხვდა.

— საა..მო მშვიდობისა, ბა...ტონებო!

წარმოსთქვა იმან იმ ხმითა და იმ კილოთი, რომელიც ერთგვარ მეცნიერულ საგნადაა გახდარი ყოველ ჭკუით მსუბუქ არისტოკრატ ყმაწვილისათვის.

სალამზე აფიცერს ზოგმა ხმა სულ არ გასცა, ზოგმა ჩუმად თავი დაუკრა.

შტაბს-კაპიტანმა მაინც დაამთავრა გაწყვეტილი ლაპარაკი.

— მე თქვენ გარწმუნებთ, ეს ასე იქნება!—სთქვა იმან და ახალგაზდა აფიცერს სალამზე ზურგი შეუქცია.

ახალ-მოსულმა შეამჩნია ცარიელი ადგილი ტანისა და თავის მოხევით, დინჯათ მიუახლოვდა, სავარძელს, შიგ მოწყვეტილი ჩაეშვა და ხმა-მაღლა ამოიხვნეშა!

— უფ, რა საშინელი მოწყენილობაა!—ზანტად სთქვა იმან და ხმა რომ არავინ გასცა, პატარა ხნის შემდეგ დაუმატა—უნდა გითხრათ, რომ მე აქაურობა მეტად მომწონს, მშვენივრობა რამ არის ეს მყუდროება, ეს ერთი-ერთმანეთში სადა, უბრალო დამოკიდებულობა, ყველა ეს მეტად კარგია. პეტერბურგი ამ მხრივ საშინელება რამეს წარმოადგენს. იქ ცხოვრება ისეთია, რომ მუდამ გამოჭიმული უნდა იყვე, როგორც სალდათი აფიცრის წინაშე, ისე რომ მე კიდევაც გამეხარდა, რომ აქეთ გადმომიყვანეს, იქაური ცხოვრება მომბეზრდა, აქ კი სულითაც და ხორცითაც დავისვენე, მაგრამ... ეეეე... ყველა ამას... ერთი... დიდი ნაკლულევანება აქვს.

რა ნაკლულევანება?—სარკასტიული ღიმილით ჰკითხა ფერ-მიხდილმა კაპიტანმა

— ეეე... აბა, როგორ გითხრათ!.. გმ... საზოგადოდ ყმაწვილ კაცს სწყურია, ასე რომ ვსთქვათ, ქალის ეეე... ალერსი... მეგობრობა. ჩვენი მეგობრობა სხვა არის, ნაზსა და ნარნარ ქმნილების მეგობრობა კი სულ სხვა. მე... მიყვარს ქეიფი, არშიყობა, სამსახურიც მიყვარს, მაგრამ... ხანდახან ამგვარ ქალის ფეხთა წინ დავდება და დასვენება პირდაპირ მომწყურდება ხოლმე.

ამ ლაპარაკის დროს იქ მყოფნი ხშირად ერთმანეთს შეხედავდნენ და თვალს ჩაუკრავდნენ ხოლმე. შტაბს-კაპიტანი ერთ ალაგს შეჩერებულიყო და თვალს არ აშორებდა ყმაწვილს აფიცერს.

— შეირთეთ ცოლი!—შენიშნა ვიღამაც.

— ცოლი?!—ნაძალადევად გადიხარხარა აფიცერმა—ჰა, ჰა, ჰა! ერთი მითხარით ცოლის ფეხთა წინ ვის დაუსვენია როდისმე!

— მაშ იცით, რა გითხრათ?—მიაძახა მას შტაბს-კაპიტანი და ცოფები გადმოყარა—თქვენ...

თქვენ ნებას არავინ მოგცემთ, სხვის ცოლის ფეხთა წინ დაისვენოთ!

— მე. ეგ არ მითქვამს, მეგობარო— დინჯად, აუჩქარებლივ მიუგო იმან—არ დაგავიწყდეთ, რომ... მე დასვენებაზე ვლაპარაკობ და როდესაც გული გიფანცქალებს, აი ახლა გააღებს ქმარი კარებს და ქორივით დაგეცემაო თავზე, მერწმუნეთ, იქ ვერ დაისვენებთ. ეს ერთი, მეორეც ისა რომ ცოლი, ვისიც უნდა იყვეს იგი, თუ ნამდვილი ცოლია, ჩემთვის არავითარ ინტერეს არ წარმოადგენს. მე... ვგულისხმობ ქალს, არა ცოლს, თავის **უფალს** და იმავე დროს უფალს ყველა მამაკაცებისას.

შტაბ-კაპიტანს ამაზე უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ფერ მიხდილმა კაპიტანმა აღარ დააცადა.

იმან გადახედა ამხანაგებს და მრავალმნიშვნელოვანად თვალი ჩაუკრა. თითქოს ამბობდა: დამაცათ, ამ კაცს რა ოინი ვუყოვო და შემდეგ ახალგაზდა აფიცერს მიმართა:

— მესმის, რა გვარ ქალებზედაც ლაპარაკობთ, კარგად მესმის და თანახმაც ვარ თქვენი, მაგრამ სასოწართიკველებას ტყუილად მისცემიხართ, აქ თუმცა მიყრუებული ადგილია, მაგრამ მაგ გვარი ქალებიც არიან. რად გგონიათ რომ არ არიან?

ყმაწვილმა ზეზე წამოიწია და ოდნავ გაკვირვებულმა ყური მიუგდო მოლაპარაკეს.

— ერთი ასეთი ქალი, აი აგერ, ხომ ხედავთ აი იმ სახლებს—მიუთითა კაპიტანმა ორ სართულიან, დიდ შენობაზე, რომელიც ღია ფანჯარიდან კარგად სჩანდა მაგ სახლებში სცხოვრობს.

ყველამ მიიხედა იქით, საიდანაც კაპიტანი უჩვენებდა და ახალგაზდა აფიცრის გარდა ყველას სახეზე გაკვირვება და ცოტა არ იყოს შიშიც დაეტყო.

ამ სახლებში იდგა იმათი პოლკის უფროსი, რომელსაც ჰყავდა გასათხოვარი ქალი 17—18 წლისა, რომლისთვისაც ბევრი ახალგაზრდა აფიცერი ჩუმად, სხვის გაუგებლად ოხრავდა, მაგრამ ვერც მამისა და ვერც ქალის გული ვერავის მოეგო.

ფერ-მიხდილმა კაპიტანმა ერთხელ კიდევ ჩაუკრა თვალი ამხანაგებს და განაგრძო.

— მშვენიერი ქალია, მაგისთანა ქალს პეტერბურგშიაც ვერ ნახავთ!

— მოითმინეთ—ეჰვით წარმოსთქვა ყმაწვილმა —თუ მართლა მაგრე მშვენიერია. აქ.. აქ რას აკეთებს?

— ვინ იცის, რა ქარი ვის სად გადააგდებს— მიუგო კაპიტანმა—მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ ქალი ანგელოზსა ჰგავს.

— დიდიხანია აქ არის?—

— ერთი თვეა, რაც ჩამოვიდა.

— მაშ არა ხუმრობთ?

— მე ხუმრობა საზოგადოდ არ მიყვარს.

— მერე?

— მერე რა?

— დაიცადეთ, რაღაცა უნდა მეთქვა, ჰო... მისი ნახვა კაცს ძვირად დაუჯდება?

— ოცდა ხუთი მანეთიდან ათ თუმნამდე.

— გმ... — სთქვა ყმაწვილმა და ფანჯარას თვალს არ აშორებდა.

— მაშ ლამაზია, ჰა? --იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— მეტის მეტი!

— გმ... — ყმაწვილი კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან, შემდეგ გატრიალდა და ნელის ნაბიჯით, ჩაფიქრებული ბუფეტისაკენ გაემართა. იმის გასვლა იყო და ყველამ გულიანად გადიხარხარეს.

— რა ხუმარა ხართ, ანდრეი პეტროვიჩ, დაიჯერა განა?—იცინოდა უწვერ-ულვაშო ახალგაზდა პოდპორუჩიკი, რომელსაც იმ ქალის გაცნობაც კი ვერ მოეხერხებინა.

არ იცინოდა მხოლოდ შტაბს-კაპიტანი.

— სულელი არ არის, მაშ რა არის?—ამბობდა ის — ქალები მომინდომა! დაჩვეულია და.. ეჰ! ვის უნდა ბილიარდი მეთამაშოს? — უცბად წამოიძახა იმან.

— მე!—წამოიძახა ვიღამაც.

— თორმეტ ბოთლ ღვინოზე! დღეს ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მოვიგებ კიდეც და დავთვრები კიდეც.

— თანახმა ვარ, წავიდეთ!—უპასუხა გამოწვეულმა.

— ეს კარგი საქმეა! — მიობრუნდა ფერ-მიხდილი კაპიტანი სხვებს — ამათ ითამაშონ, ჩვენ კი ღვინო დავლიოთ!

ყველანი ბილიარდისაკენ გაემართნენ.

შუაღამე ახლოვდებოდა. ისე აღარ ცხელოდა, თუმცა ოთახში ისევ ბუღი იდგა. მოთამაშეებს გაეხადათ ზედა ტანსაცმელები და სიცხისაგან და თამაშობისაგან აღგზნებული სახეებით მეათასჯერ გარს უვლიდნენ ბილიარდს.

გამხდარი კაპიტანი, შტაბს-კაპიტანი და ხუთი კიდევ სხვა აფიცერი იქვე კუნჭულში მაგიდას მისხდომოდნენ ზედ, ხელებით დაყრდნობოდნენ, ღვინოს ჩუმად სვამდნენ.

ერთი მათგანი აიღებდა ხელში ჭიქას, ამოიოხრებდა, იტყოდა:

— ეჰ, რას იზამ?—და. გადაჰკრავდა.

— დავლიოთ!— მიჰყვებოდა მას მეორე.

— ჰო, დავლიოთ! — იტყოდა მესამე და ისიც გამოსცლიდა.

— ააა!—უცბად ოთახში შემოვიდა ახალგაზდა აფიცერი და კარებში გაჩერდა. სახე გასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა, მთელი მისი არსება მხიარულებასა და თანაც განცვიფრებას გამოხატავდა.

წამოიძახა ყველამ — მობრძანდით, მობრძანდით! შამპანიურით ვერ გაგიმასპინძლდებით, მაგ-

რამ... მობრიანდით. ღვინო მიიროვით.

— ეეე... გმადლობთ... გმადლობთ... მე ისეც მთვრალი ვარ... ეეე... ღვინით და... სიყვარულით —აფიცერი მივიდა და სკამზე დაეშვა—სად არის ანდრეი პეტროვიჩ? ანდრეი პეტროვიჩ, რა მშვენიერობაა, რა კარგია! ანგელოზია, ანგელოზი. გმადლობთ, გმადლობთ, ანდრეი პეტროვიჩ!

აფიცრებს ვერაფერი გაეგოთ და ერთმანეთს გაკვირვებით შეჰყურებდნენ.

— მომითმინეთ, ვიზე, რაზე ლაპარაკობთ?

ჰკითხა ბოლოს კაპიტანმა.

— ვიზე უნდა ვილაპარაკო, თუ არა იმ ქალზე, თქვენ რომ მიმასწავლეთ. მე ხომ ვიყავი! მშვენივრობაა, მშვენივრობაა...

აფიცრებმა სიცილი დააპირეს, მაგრამ უცდიდნენ, კიდევ რას იტყოდა ეს ყველასაგან მოძულებული ამხანაგი. მოთამაშეებმაც მიანებეს თავი ბილიარდს და მაგიდას მიუახლოვდნენ.

— უწინარეს ყოვლისა მე კარგად გადავკარი— განაგრძობდა ის—შემდეგ დავადექი გზას დ გავსწიე...

— სად, სად გასწიეთ!—ეკითხებოდა მოუთმენლად კაპიტანი, რომელიც თითქოს გრძნობდა რაღაცა უბედურობას დ თვალებში შიში ეპარებოდა.

— იქ, აი იმ სახლში.

— აი, იქ ამ ფანჯრის პირდაპირ?

— სწორედ იქ.

— ორსართულიანი, მწვანე ფერით რომ არის შეღებილი?

— ჰო, სწორედ იქ... მივედი და...

— მოიცათ, სად შეხვედით? ქვეით თუ ზედა სართულში?!

— ზედა სართულში.

— თქვენ... თქვენ იყავით აქ?

— ვიყავი, მაშ, რა არის აქ გასაკვირალი?

— და ნახეთ ქალი?

— ვნახე და დავამარცხე!

— არა მესმის რა!—აიწია მხრები კაპიტანმა და ამხანაგებს შეხედა.

— გვიამბეთ ერთი როგორ იყო!—სთქვა ერთმა.

— როგორ იყო—დაიწყო იმან—მეთერთმეტე საათი იყო, რომ მივედი. დავრეკე ზარი, გამოვიდა დენჩიკი. გამიკვირდა.

— შენ აქ რა გინდა?

— მე პოლკოვნიკთან ვარო.

— ააა, პოლკოვნიკიც ამ სახლებშია მეთქი?

— დიახო.

— ბარიშნა სადღა დგას მეთქი?

— ზევით სართულშიაო.

— ცალკე არის?

– ცალკეა.

— მარტოკაა?

— მარტოკა.

— აბა-–ვუთხარი,—მიჩვენე ბარიშნის ოთახი და შემდეგ დაიკარგე, რომ შენი სახსენებელი არ იყვეს მეთქი.

ავედით ზევით. დენსჩიკი დავითხოვე. დავარაკუნე კარები, ხმა არავინ გამცა, მაშინ შევაღე კარები და რა დავინახე!?! ლოგინში იწვა ნორჩი, მშვენიერი არსება... სკამზე სანთელი ენთო, იქვე ძირს წიგნი ეგდო და ისე მისძინებოდა. ველარ მოვითმინე, დავიჩოქე და შუბლზე დავეკონე. ქალი შეკრთა, წამოვარდა და შეჰკივლა, შემდეგ ზედ ხელებზე გადამესვენა. სისულელე მომივიდა. არ უნდა მეკოცნა, მოულოდნელად მეტად შეეშინდა... მაგრამ რა მშვენივრობაა, რა მშვენივრობა.

— მერე? მერე?-–ეკითხებოდნენ გადაფითრებული აფიცრები.

— ნუღარ მკითხავთ... არ ვიცი... ისე ვიყავ თავბრუ დასხმული... ისეთი მშვენივრობა იყო, რომ ახლაც ტკბილ სიზმარში მგონია ჩემი თავი... ოჰ!

– მოიცათ, მოიცათ! იქნებ თქვენ პოლკოვნიკის გოგოს ოთახში იყავით და გგონიათ რომ... —ჩაეკითხა უკანასკნელად კაპიტანი.

— რის გოგო? რას ამბობთ? გოგოები მაგისთანები არ არიან! არც მაგისთანა ოთახები აქვთ და არც მაგისთანა ქვეშსაგებებში წვანან... დიდრონი შავი თვალები—განაგრძობდა ის, თითქოს ნანახ სიზმარს იგონებსო—ფერ-მიხდილი, დასურათებული სახე, მურწასვით ვიწრო, სქელი ტუჩები...

— ის არის, ის!?!—წამოიძახა კაპიტანმა —

ეჭვი არია, ის არას!-–დაეთანხმენ სხვებიც და ჩაჩუმდნენ, მხოლოდ შიშითა და გაკვირვებით მოცულს თვალებს ლა ატრიალებდნენ.

ყმაწვილმა სიტყვებზე თავი მაღლა აიღო, შეხედა ერთს, მეორეს, მესამეს, დაინახა ყველას გადაფითრებული სახეები და თვითონაც გაფითრდა.

— ვინ ის!—შიშით იკითხა იმან.

—ვინ? გინდათ, გაიგოთ ვინ?—ახლოს მივიდა და შიგ სახეში ჩააცქერდა დიდ—ულვაშებიანი შტაბს-კაპიტანი—ჩვენი პოლკოვნიკის გასათხოვარი ქალი!

ახლა ყმაწვილ კაცს აღარა ესმოდა რა. ადგა, შემდეგ ისევ დაჯდა და გიჟივით ატრიალებდა თვალის კაკლებს.

— ბატონებო, სადაცაა, პოლკოვნიკი უნდა დაბრუნდეს ტფილისიდან—სთქვა ვიღამაც კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ—სჯობს, წავიდ-წამოვიდეთ!

— ყველას მოგვხვდება, ყველას!—სთქვა მეორემ და გაბრუნდა. მას მიჰყვა მეორე, მესამე ბოლოს დარჩნენ ცოდ-ულვაშებიანი შტაბს-კაპიტანი და ფერ-მიხფილი კაპიტანი.

შტაბს-კაპიტანი მიუახლოვდა ყმაწვილს, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ისეთ კატორგას აგკიდებენ ზურგზე, ჩემო კარგო, რომ იტყვი: ნეტავი ჩემ დღეში ქალი არ მენახაო —სთქვა და გატრიალდა.

შემდეგ მივიდა კაპიტანი.—

კარგად დამიგდეთ ვური, რა გითხრათ! — ღია სახეში ჩააცქერდა უთხრა იმან —თუ გაგიბედნიათ და გითქვამთ, რომ მე მიგასწავლეთ მაგ სახლზე, იცოდეთ, ერთ წუთს არ გაცოცხლებთ!.. წავიდეთ, მიხეილ ივანიჩ! ორივენი წავიდნენ.

ნახევარ საათის შემდეგ საკრებულოდან სახლისაკენ ბარბაცით მიდიოდა ქალის ფეხთა წინ დასვენების მოყვარული აფიცერიც.

სვ. ყიფიანი.

(დასასრული იქნება)

მახსოვს.

(მოგონება)

—:—

მახსოვს — ყრმა ვიყავ — ჯერედ ცელქი, მოუსვენარი,
როს შენს კიდურზედ, ცელქო წყარო, მე მოვირბინე!
როს იფურჩქნოდა დილის ნამზედ მწვანედ მთა—ბარი,
აქვე ჰყვავოდა ყვავილთ კრება მკერდ—მობიბინე..

—:—

ოდეს ნიავმა ნაზად ფრთის გაშლით გაისისინა
და შენსა დუდუნს შეუერთა თვისი ჩურჩული,
აქვე ბულბულმა იდუმალად ჩაიქვითინა,
გამოაღვიძა მუქი ია, მუნ მინაბული.

—:—

წვრილმა ბუჩქნარმა ფოთოლთ რხევით თავი დაჰხარა,
კრძალვა-რიდებით გულითადი სალამი მიძღვნა;
მზემ აღმოსავლით თვის მთიები გადმომაყარა,
და ცელქი სხივი ოქროს ფერი გულში ჩამაწნა!...

—:—

მთელი ბუნება აღტაცებით მეგებებოდა
და მეც ზვიადად ვიღიმოდი ყრმა უსუსური;
სჩქეფდი, მდინარევ!.., ნაკადული ნანას მიმღერდა,
გრძნობას მიტკბობდა ჰარმონიის ხმა საამური....

—:—

მახსოვს, მოვსწყვიტე მუნ ყვავილი, მორცხვად მღიმარი,
ხარბად დავყნოსე, მხოლოდ ყლორტი მწარედ აკრემლდა!
ოჰ! არ მესმოდა იდუმალი ბედის ჩურჩული,
რომ მეც ცხოვრება იმ ყვავილის ხვედრს მიმზადებდა!

—:—

აწ წამი იგი განქრა ჩემთვის ვითა აჩრდილი:
ულმო ცხოვრების შავი ძალა როს გულმა იგრძნო—
და ვით შენს ნაპირს მოწყვეტილი ჩემგან ყვავილი
ისე ცხოვრებამ მისწრაფება სულის დამიჭკნო!...

—:—

დღეს თუ შლას იწყებს ნეტარების გულში სურვილი,
მყისვე დაჩრდილავს ბოროტება შავით ბურვილი;
დაუნდობელმა ბედის ჟამმა მომისპო შვება,
მაგრამ დრო იგი წაუშლელად ამ გულში რჩება!...

ს. ფაშალიშვილი.

ნუცალ ხანი

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐ.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება)

—:—

ველაპარაკეთ ნუცალს, დაიწყო ანთამ, რა აიღო თავი და გადაჰხედა გარშემორტყმულ თანამოძმეებს. — მძიმე უღელს გვადებს ავარიის ხანი, გვიქადის, მითომდა, თავისუფლების და ავლადიდების ხელშეუხებლობას. მხოლოდ გზა უნდა მივსცეთ მის ჯარს, ლეკების თარეშს კახეთისკენ. ამასთან სურსათიც ჩვენ უნდა გავიღოთ. კომლზე თითო ცხვარი და თითო კოდი პური.

აქ ანთა გაჩუმდა. თუშებმა შეამჩნიეს, რომ საპატიო წარმომადგენელი აღელდა, რომ კიდევ უნდოდა ეთქო რაღაცა და თითქო ვერ ახერხებდა.

— მაგას ჯანი გავარდნოდა, ეგ კიდევ მოსანელებელი იყო, რომ სხვა გვარი სირცხვილი არ დაედო ნუცალს ჩვენს თავზე — წარმოსთქვა ნაღვლიანათ ითაბანულმა.

— მაგაზე მეტი სხვა რაღა სირცხვილი იქნება... გაისმა ხმები.

სირცხვილი, თუშებო, მღელვარის ხმით განაგრძო ითაბანულმა, — ისეთი გაუგონარი სირცხვილი დაგვადო თავს ავარიის ხანმა, რომ სოთქმელათაც კი შესაზარია. ესეთი შეურაცყოფა, დამცირება, პატივის ახდა, ფეხქვეშ გათელა თუშეთს ჯერ არ უნახავს.

— რა სირცხვილი!... რა შეურაცყოფა!... რა პატივის ახდა!... გაგვაგებინეთ... შეჰყვირა მოუთმენლად მთელმა ხალმა.

— ქალწულ დიაცის ბეგარა დაგვადო.

როგორც მეხი თავს დაეცა ხალხს ითაბანულის სიტყვები. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო უდაბნოდ გარდაქცეულიყოს ხალხით სავსე ალაგი. კარგა ხანს, როგორც ასეულები, შეჰყურებდნენ თუშები ერთი ერთმანეთს. თითქო ვერ მიმხდარიყვნენ, ვერ გაერკვიათ ითაბანულის სიტყვები.

— გავწყდეთ, გავწყდეთ და მაგ სირცხვილსკი ნუ ვჭამთ!... იგრიალა უცბათ ხალმა;

როგორც აღშფოთებული ზღვა, ისე აღელდა ხალხი და აირივ-დაირია. მეტის სიბრაზისაგან ღრიალებდა, ზოგი რას ყვიროდა და ზოგი რას. არ იყო გარჩევა და არც გაგონება.

— გავწყდეთ! წამოიძახა ერთმა ხალხიდან, წამოიჭრა წინ და დადგა წარმომადგენლების წინ, გავწყდეთ და ჩვენი ნამუსი ჩვენვე შეგვრჩეს. ვებრძოლოთ, სანამ პირში სული გვიდგა, სანამ ძარღვებში სისხლი გვიდუღს. დეე, იმძვინაროს ღორმა, მიწასთან გაასწოროს ჩვენი სოფლები და ციხე-სიმაგრეები, ცეცხლს მისცეს ჩვენი ავლა-დიდება... ნუ ჩავაგებთ ქარქაშში ხმალს, სანამ ერთი ჩვენგანი ცოცხალი დარჩება! —გავიდეთ, გავიფანტნეთ აქაიქ მთებში, აღფრთოვანებით განაგრძო მამულიშვილმა, — და როგორც მგელი ცხვრებზე, ვითარეშოთ მტერზე, მოვკენჭოთ ჩვენი მთის კლდეღრეები და ხევ-ხუვები მათი ლეშით. დეე გაიხაროს მტერმა და სვავ-ყორანმა!... შიმშილის ნუ შეგვეშინდება, ვაჟებო, დაასრულა მოლაპარაკემ, — ჩვენ მთაში ბევრია ჯიხვი და არჩვი. სუ რომ არა იყოს-რა, ბალახით გამოვიკვებოთ თავი. ღმერთი შემწეა, შიმშილით არ დავწყდებით!..

— ხალხო, საქმე უკვე გადაწყვეტილია — გამოუცხადა ყრილობას ითაბანულმა.

— მერე ვინ გადასწყვიტა? გაკვირვებით ჰკითხეს ითაბანულს.

— ანთამ უკვე ყველაფრის შესრულება აღუთქვა ნუცალს და დღეს დაპირებისამებრ თვითონ უნდა გამოცხადდეს ამანათად.

— ანთას ვინ მისცა მაგის უფლება?! გაისმა აქა-იქიდან ხმები, — ჩვენ არასოდეს არ ვიკისრებთ მაგ სირცხვილს და არც ანთას გავუშვებთ ნუცალთან.

— მე გადავწყვიტე და წავალ კიდეც, სანამ დაღამდება, წყნარად უთხრა დევდრის ანთამ თანამოძმეებს, — მე ჩემ პირს არ გადავალ და თქვენ თქვენი იცით.

— რად ჩაიდინე ეგ საქმე, ანთავ, უსაყვედურეს თუშებმა საპატიო წარმომადგენელს, — რად აჭამე თუშეთს ამისთანა სირცხვილი, რად შეალახვინე მტერს ჩვენი კაცობა, ნამუსი და პატიოსნება.

— ჩავიდინე თუშეთის დასახსნელად, მის საკეთილდღეოდ, სთქვა ანთამ, — სხვა ხალხის ხსნის გზა არა გვქონდა.

— მაგნაირი დახსნა რა საკეთილდღეობა თუშეთისათვის?

— მომითმინეთ, თუშებო, დაიწყო ანთამ, — ნუცალხანს აუარი ჯარი ჰყავს. ჩვენ ერთი მუჭა ხალხი ვერას გავხდებით და უბრალოდ დავიღუპებით უთანსწორო ბრძოლაში. გადაჰხედეთ ჩვენს თუშეთს. ნახევარზე მეტი სოფლები განადგურებულია; მათი მცხოვრებნი ამოიჟლიტნენ. მთებში ცხვარი თითქმის აღარ დაგვრჩა, ჭირნახული ხომ მთლად დაიბუგა. ასევე მოუვა სხვა გადარჩენილ სოფლებსაც, თუ ჯერ-ჯერობით წინააღმდეგობა გავუწიეთ მტერს. თუშეთი ნანგრევებად იქცევა და თუშეთის ხალხი აღმოიფხვრება დედამიწის ზურგიდან. აი ამას ვხედავდი და ამისათვის ყველაფრის აღსრულება აღვუთქვი მტერს; აღუთქვი მხოლოდ

იმისთვის რომ დრო მოგვეგო და მით გვესარგებლნა... ერთი კვირა ვადა ვსთხოვეთ. ეხლა უნდა შევატყობინოთ მეფე ლევანს და ფშავ-ხევსურებს, რომ მოგვეშველნენ. მეფე, დარწმუნებული ვარ, უმალვე გამოგვიგზავნის საშველად ჯარს. ბევრი ამაგი მიგვიძღვის ბართან და მის მეფეებთან და ამისათვის მეფე ლევანი უარს არ იტყვის. არც ჩვენი მეზობლები ფშავ-ხევსურები აგვიქცევენ ზურგს. ჩვენ ერთნი ვართ, ერთად გვისავს დროთა-ვითარების, როგორც სიტკბოების, ისე სიმწარის ფიალა. ძველადანვე ერთი-ერთმანეთს ვუმაგრებდით ზურგს და მით ვიცავდით მთას და მასთან ჩრდილოეთიდან მთელ ქართლ-კახეთს. მხოლოდ უნდა ვეცადნეთ შაბათ დილისთვის მოვიდეს ჯარი. პაემანი შაბათის დილაა. მოგვივა ლევანის ჯარი, ფშავ ხევსურები და მაშინ მწარედ გაუთენდებათ ლეკებს შაბათი.

— მხოლოდ, განაგრძო დედრივ ანთამ, რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, — თუშეთის ხსნა თხოულობს ორ მსხვერპლს. ერთი მე ვარ და მეორე დიაცი უნდა იყოს. თუ დღეს არ გამოვეცხადე, ნუცალი ეჭვს აიღებს და ჩვენი საქმე წახდება. დღეს მე წავალ და ხვალ დიაცი მოიყვანეთ. ჰყარეთ წილი და, ვისაც ერგება, დაჰმორჩილდეს ბედს, დასთმოს თავი, როგორც მე ვთმობ თუშეთის სადღეგრძელოდ და საბედნაეროდ... მე ვიცი, რომ სიკვდილი არ ამცდება, დაასრულა ყველასაგან პატივცემულმა წოვათის წარმომადგენელმა, მაგრამ მე ეს არამც თუ მაღონებს, არამედ სიხარულით მივეგებები, რაც უნდა ჯოჯოხეთურად მაწამონ, ოღონდ გამარჯვებული ვნახო ჩემი სამშობლოს დროშა... იმნაირი სიკვდილი ჩემთვის სანატრელია. გულ დამშვიდებული წარვუდგები წინაპრებს სულეთს...

სულ-განაბული ხალხი ყურს უგდებდა ამ პატიოსან მოხუცს, რომელიც ასე დამშვიდებით ლაპარაკობდა თავის ახლო მომავალ აუცილებელ სიკვდილზე. მოხუცებისაგან ოდნავ მოკაკული მისი ტანი თითქოს გასწორებოდა ამ დროს, სახეს კმაყოფილების ელფერი გადაჰკროდა და თვალები გაჰბრწყინებოდა. სრული სიჩუმე იდგა. ვერც ერთს ვერ ამოეღო ხმა, ვერა მოეხერხებია-რა სათქმელად. ვინ იცის, როდემდისინ გასტანდა ეს სიჩუმე, რომ თვითონ ანთასვე არ დაერღვია.

— რას გაჩუმებულხართ, ვაჟებო, მიუბრუნდა წარმომადგენელი თანამოძმეებს, — დრო მიდის და მეც დამიგვიანდება. დაეშურენით, აბა ვინ გავგზავნოთ მეფესთან?

— ითაბანული — ითაბანული წავიდეს... ყრუდ გაისმა ხალხში.

— მაშ შენ წახვალ, უთხრა ანთამ ითაბანულს, — შიშიანობაა და ვინიცობისათვის ერთი ორიოდე მარჯვე ბიჭი თან წაიყოლე. იარეთ, რაც შეიძლება სწრაფად. დღესვე გაღიო. დაბინდებამდის ეცადეთ კახეთის მხარეს გადახვიდეთ. იქ რომელიმე ჩვენი მეცხვარის ბინაში დაისვენებთ და, ამოვა მთვარე თუ არა, განაგრძეთ გზა. ვინძლო გათენებისას გრემში ჩახვიდეთ. მეფე ლევანი ძალიან ადრე დგება. დილ-დილაობით სასახლის ბაღში უყვარს სეირნობა და, ვისაც ჰსურს მისი ნახვა, მისთვის კარი ყოველთვის გაღებულია. თქვენც ნუ დაგერიდებათ, პირდა-პირ მიდით სასახლის დარაჯთან და მის მოხსენების შემდეგ შეხვალთ.

— რაც უნდა მოახსენო მეფეს, დარიგება შენთვის საჭირო არ არის, დაასრულა ანთამ, — შენ თვითონ ყველაფერი კარგად იცი. მხოლოდ დაეშურენით — გათენდება შაბათი თუ არა, ჯარი აქ უნდა იყოს, თუ არა, თუშეთი დაიღუპება. მოუთმენლად მოგელით.

ამ სიტყვებით დევდრის ანთა წამოდგა.

— აბა, მე წავალ, სთქვა და გადაავლო თვალი თანამოძმეებს, — სპეროზის წმიდა გიორგი მიგიძღოდეთ წინ მფარველად. მშვიდობით, ხალხო. გამოემშვიდობა ხალხს, შემდეგ მოიხადა ქუდი: — ვთხოვ, დიდებულ ღმერთს, ჩვენ მთის წმინდანებს, რომ თუშებს გამარჯვება ნუ მოუშალოს მტერზედ, ვსთხოვ მის დღეგრძელობას, მის ბედნიერებას, აქ მყოფთ თქვენც და ყველა ჩვენ ქუდოსან-მანდილოსანს, დიდს და პატარას მშვიდობა!...

— ვფიცავ მამიჩემის სულს, ჩვენ ხატებს, რომ არ გაგიშვებ მაგ ღორებთან?.. წამოიძახა ომალოელმა და დაცრემლიანებულის თვალებით გადაეღობა წინ. ჭაბუკი მთლად კანკალებდა. გულის მკერდი მღელვარებდა და სახეს ნაცრის ფერი გადაჰჰკროდა.

— რათ მიდიხარ, ანთავ, განა ჩვენ კაცები არა ვართ, ქუდი არა გვხურავ, ყბაზე წვერი არ გვასხავ, ულვაში არა გვაქვს?!. ნუ თუ ისე დავლაჩრდით, ნუ თუ ჩვენი მამა-პაპიდანვე განთქმული ხმალი ველარ გასჭრის?! არა, გასჭრის კიდევ, ანთავ, არცერთი ჩვენგანი არ უმტყუნებს მამა-პაპის ანდერძს — მაშ დავჭკრათ, ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის და დაე, სადაც გაწყდება გაწყდეს სასიკვდილოდ გაჭიმული ჭაპანი!...

— მადლობელი ვარ, ჩემო გიორგივ, უთხრა ომალოელს მოხუცმა ანთამ, — ძვირად მიღირს მაგ ჭაბუკ გულიდან ამონაკვნესი შენი სიტყვები. კიდეც ეგ მაიმედოვნებს, რომ თუშეთი არ მოკვდება. ამ წმიდა რწმენით შევხვდები სიკვდილს გულდაგულ. შენი ხმალი მოიქნიე, დაჰკარ სამშობლოს დასაცველად, მე-კი მოვჰკდები მისთვის...

— აბა, წავიდეთ, მიუბრუნდა შემდეგ ანთა ბაჩოს, მიმიყვანე ლეკების ბანაკამდის და იქიდან ცხენს წამოიყვან.

ანთა წავიდა. გულდაკოდილი, დაღვრემილი სახით კარგა ხანს გაჰყურებდა ყრილობის ხალხი იმ გზას, რომელზედაც მიდიოდა ყველასაგან პატივ-

ცემული ანთა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, წადი ანთავ, ღრმად ამოიოხრა ერთმა წარმომადგენელთაგანმა,—ბედნიერი ხარ, უკვდავი გაჰხადე შენი თავი... შენ არ მოკვდები, სანამ თუშის სახელი არ მოისპობა დედა-მიწის ზურგიდან. შენი სახელი, შენი მამულისათვის თავ-გადადება არ დაივიწყება, არ აღმოიფხვრება გულიდან. სამაგალითოდ გადავა სიმღერებში და მოთხრობებში საშვილიშვილოდ. შენი სახელი ყოველთვის გამამხნევებელ, სულის ჩამდგმელ და მამულისადმი განუსაზღვრელ სიყვარულის ლამპრად იშუქებს და არ ჩაქრება, სანამ არ მოისპობა თუშის ხსენება...

— აბა, ხალხო, დაიძახა ითაბანულმა, ვინ წამომყვება კახეთში?

— მე! წამოიძახა ომალოელმა.

მე. მე! გაისმა აქა-იქიდან ხმები.

— ხალხო, დიაცი დაგვავიწყდა, მოაგონა ხალხს ერთმა წარმომადგენელმა,—ვისა გყავთ ქალწული ან და შვილი?

ხალხმა ყოყმანი დაიწყო, გაისმა მითქმა-მოთქმა. დიაცის გაგონებაზე ყველას სახე მოეკუმა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ! აღელვებთი წამოიძახა ითაბანულმა,—ყოყმანობთ?!. განა ანთა წინ არ გიდგათ? იმ პატიოსანმა კაცმა გასწირა თავი თუშეთის სადღეგრძელოდ და თქვენ-კი ვერ გამოგიმეტებიათ დიაცი? სირცხვილი!.. ერთი დიაცის გულისათვის უნდა დაღუპოთ თუშეთი?! რას გიქვიანთ დიაცი! იდღეგრძელოს ქვეყანამ და დიაცებს ბევრსა ჰშობს. საუბედუროდ მე არ მყავს ქალწული დიაცი და რომ მყოლოდა, იმას-კი არა, სამშობლოსათვის ყველას გავსწირავდი: ცოლს, შვილს, დედას და მამას!..

— რა გაეწყობა, უნდა დავთმოთ, დაიძახა ომალოელმა,—ერთი და მე მყავს—ტირინე. დამორჩილდნენ ბედს. დაასახელეს ქალწული ქალები და შეუდგნენ წილის ყრას. სულგანაბული, გულის ბგერით ადევნებდა თვალყურს ყოველი იქ მყოფი წილის ყრას.

— ტირინე! დაიძახა წილის ამომღებმა.

ყრილობა დაიშალა.

VIII

გულ-დაკოდილმა გიორგიმ გასწია შინისაკენ. რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სოფელს, მით აუტანელი ხდებოდა ცეცხლი, რომელსაც აეტანა მთელი მისი არსება. მის გარშემო მშვენიერი არე მარე თითქო სიბნელით მოცულიყო. ერთად-ერთი და, საყვარელი ტირინე, რომლისთვისაც სულს არ დაზოგავდა, უნდა თავის ხელით ძმას მიეცა მტრისთვის ნამუსის ასახდელად, გასაუპატიურებლად და გასახრწნელად: რა ვაჟკაცობაა, რისთვის ეხუჯა ქუდი, რისთვის ერტყა თავმომწონედ წელზე ხმალი!.. ხომ მიეგებება მისვლისთანავე მისდამი სიყვარულით აღსავსე ტირინე! მერე რა უნდა აუწყოს, რა უნდა ახაროს?.. არა, უცბად თავისთვის წამოიძახა გულდაკოდილმა გიორგიმ,—არა, დაო, მე მაგას არ ვიზამ!.. მაგრამ აქ წარმოუდგა გიორგის თვალწინ თავის ნაოჭიანი შუბლით, მშვიდის სახით, თოვლივით გათეთრებული ანთა. ყურს მოესმა მისი სიტყვები: „დაჰმორჩილდეს ბედს, დასთმოს თავი, როგორც მე ვთმობ თუშეთის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ“... ბედნიერი იქნებოდა გიორგი, რომ მას შეხვედროდა ვაჟკაცის შესაფერი მწარე ბედი, მაგრამ ბედმა ტირინე ინდომა. შეუძლებელი იყო, რომ არ დაჰმორჩილებულიყო ხვედრ წილს. ეს ხომ მთელ თუშეთის წინაშე წინააღმდეგობა გამოვიდოდა! ეს ხომ იმის თქმა იქნებოდა, რომ და მირჩევნიან მთელ თქვენ თუშეთსაო—მაშინ ხომ საზიზღარი მოღალატე გამოვიდოდა თუშეთის წინაშე. ზიზღით შეჰხედავდნენ დიდი, თუ პატარა, ქალი, თუ რძალი; შეაფურთხებდნენ და განდევნიდნენ, როგორც ცოფიან ძაღლს საყვარელ სამშობლოდან, რომლისთვისაც უძგერდა ჭაბუკი გული, უჩუხჩუხებდა მკლავებში სისხლი...

ამ ფიქრებით გულდაქეჯნილი და თავბრუდასხმული შევიდა გიორგი თავის სოფელ ომალოში. ხვდებოდა გზაში ვინმე თუ არა, ვერაფერს ჰხედავდა, ვერაფერს არჩევდა,—თითქო მზე დაბნელებულიყო მისთვის იმ დღეს. შეაღო კარები და შევიდა სახლში.

— მოხვედი, გიორგი, რა ამბავი მოგვიტანე? მივარდა ძმას სიცოცხლით აღსავსე, ყოველთვის მხიარული ტირინე და გადააგდო ხელიდგან წინდა.

ნაღველს ნაღველი მოემატა, ცეცხლს ცეცხლი. ამღვრეული სისხლი აუვარდა თავში და გაქვავებულსავით შესდგა გიორგი ერთ ალაგას.

— რა დაგმართვია, ძმაო, გაკვირვებით მიუბრუნდა და ძმას,—რას გაფითრებულხარ, სახე სუმთლად აგრევია, ავად ხომ არა ხარ?!

— არა... ცხენი უნდა მოვიყვანო, საბელი მომეცი.

— გიორგი, არის შენს თავს რაღაც, უთხრა ტირინემ, და მიაწოდა საბელი,—რატომ არ მეუბნები, რად მიმალავ?..

ოჰ!—ნუ მკითხავ, ტირინევ, თავი დამანებე, საშინლად ამოიკვნესა გიორგიმ და დააპირა გასვლა.

— არა, არ გაგიშვებ, სანამ არ მეტყვი, გადაეღობა ძმას იგი, შენ არასოდეს არ მიმალავდი და ეხლა, სჩანს, რომ არის რამე იმისთანა; მითხარი, გეხვეწები.

— რა არის და სირცხვილი!.. აღელვებულის ხმით წამოიძახა გიორგიმ,—ნუცალმა ქალის ბეგარა დაგვადო, ხვალ უნდა მივუყვანოთ... წილი ვყარეთ.

— მერე ვის ერგო?

— ჩვენ, დაო... ჩვენ...

— რა ვქნათ, რამდენიმე სიჩუმის შემდეგ ხმის კანკალით ძლივს წარმოსთქვა ზარდაცემულმა ტი-

რინემ· – თუ მთელმა ყრილობამ დაადგინა და თუ თუშეთი ისე დაძაბუნდა, სულით დაეცა, რომ ხარკად ქალებს აძლევს მტერს, თუ ჩვენ ვაჟებს მანდილი დაეხურათ და არ შეუძლიანთ დაიცვან თავიანთი თავმოყვარეობა, თავიანთი დიაცების ნამუსი და პატიოსნება—მეტი რა გაგვეწყობა, ჩვენც უნდა დავმორჩილდეთ...

— კმარა!.. დაიღრიალა სასოწარკვეთილმა ომალოელმა და გიჟივით გავარდა გარეד.

კარგა ხანს იდგა ტირინე გაქვავებული ერთ ალაგას. მეტის ცეცხლისაგან გული საშინლად უღელავდა და ისე სცემდა, თითქო უნდა გაეპო მკერდი და გამოვარდნილიყო. სისხლი თავში აუვარდა და გონება დაუბნელა, უნდა მოეკრიბა ფიქრები, რომელნიც გაშმაგებულ ზღვის ტალღებსავით აწვებოდნენ ერთი-ერთმანეთს, მაგრამ არ შეეძლო.

— ჩემი თავი განა ჩემს ნებას არ არის, მე არ მეკუთვნის? წარმოსთქვა ბოლოს ტირინემ. რა არის რომ წილი მხვდა. არა, ჩემი ნამუსის, ჩემი პატიოსნების პატრონი მე ვარ და მივცემ ჩემ თავს ნუცალს თუ არა, ჩემი ნებაა! მადლობა ღმერთს, არის საღსარი, არის გზა, რომლითაც შემიძლიან დავიცვა ჩემი თავი, წარვუდგე ჩემ დედმამას ხელუხლებელი, ისეთივე ნამუს-დაცული, გაურყვნელი და წმიდა, როგორიც დამტოვა დედმამამ.

ამ სიტყვებით მიმოავლო თვალები ტირინემ თავის მამის სახლს, კერას, თითქო ემშვიდობებაო და ავიდა მეორე სართულში. იქიდან გამოვიდა პატარა აივანზე, რომელიც დაჰყურებდა სახლის წინ პატარა საჯარო მოედანს. მზე კაშკაშებდა იმ სიამით, რა სიამითაც კაშკაშებს ხოლმე ჟუჟუნა წვიმის შემდეგ. რაღაც სიჩუმე ჩამოვარდნილიყო სოფელში. თითქო ჩასძინებოდა ომალოს. სოფლის ბოლოს გაშლილ მინდორზე ნიავისაგან ზღვასავით ჰღელავდა მომწიფებული ომალოელების ყანები. მინდვრის ორივე მხრივ მოსჩანდნენ ფიქვის ტყიანი თუშეთის და პირიქით ალაზნის უფსკრული. იქით აზღუდულიყო უმთავრესი კავკასიონის ქედი, რომელიც მიიგრიხება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და იკარგება დაღესტანში.

ნაცნობი იყო ყველა ეს თვალ-გულ-წარმტაცი ალაგები ტირინესათვის. ეს იყო მისი მშობლიური მხარე, სადაც დაიბადა, აღიზარდა და გაატარა უმანკო ახალგაზრდობა. აივნიდან გადაჰყურებდა ტირინე, მაგრამ ვერაფერს კი ვერა ჰხედავდა. ჯოჯოხეთური ცეცხლი და ის საშინელი აზრი აბნელებდა იქაურობას.

ბრძოლამ ბევრს ხანს არ გასტანა. აივნიდან გადავარდნილმა მორწყო თავის უმანკო სისხლით თავის სახლის წინა ქვით დაფენილი მოედანი...

ივ. ბუქურაული.

(შემდეგი იქნება)

ქარი დაგრგვინავს...

—:—

ზამთარი არეს ემშვიდობებოდა და თავის ადგილს კეკლუც გაზაფხულს ულოცავდა. წასვლის ნიშნად ერთი კიდევ ცივ-ყინვიან ქარით დაჰბერა, ცა შავ ღრუბლებით მოკირწყლა, ხეები მძლავრად აახმაურა და მოკაშკაშე მთვარე მსწრაფლ გაუვალ ღრუბელს ამოაფარა.

არე-მარე მთლად წყვდიადმა მოიცვა. გაშმაგებული ქარი ერთ წამს ისარივით ზეცას გაიჭოდა, შავად მოფენილ ღრუბლებს თავს უყრიდა, ერთ უზარ-მაზარ რამედ აქცევდა და წყვდიადის მოსასპობად ძირს აქანებდა; ხან ისევ ძირს დაეშვებოდა, სუსტ უღონო ხეებს წელში ზნექავდა, ამახინჯებდა, ამტვრევდა, ძირიანად სთხრიდა, შენობებს ახმაურებდა, კარებს-ფანჯრებს უჭრიალებდა, ჭერს უშლიდა აქეთ-იქით ჰფანტავდა, აივნებს სასტიკად აწივლებდა; ხან კი მოღლილ-მოქანცული უცბად მიყუჩდებოდა, სადღაც შავ ღრუბლებს იქით გადიკარგებოდა და ერთი წუთით ახმაურებულ წყვდიადს კვლავ ვარსკვლავებით მოჭედილ და მოელვარე მთვარით გააშუქებდა. ძლიერი ქარი თავისუფლად დათარეშობდა, ერთი კუთხიდან მეორესკენ საჩქაროდ რბოდა და ხან წყვდიადით ხან სინათლით არეს მოსავდა; ხან რისხდებოდა, გრიალებდა, კვნესოდა და ზუზუნებდა და მის გრგვინვაში მჩაგვრელთა გმობა იხატებოდა, არემარის უსამართლო ყოფა-ცხოვრების კრულვა ისმოდა, ხან კი ტკბილად წყნარი დუდუნით ჩაგრულთ გულს უალერსებდა, შიშველ-ტიტველთ ბრწყინვალე მზით ანუგეშებდა.

მე კი ქარის ზუზუნს გულმოდგინეთ ყურს ვუგდებდი და ფიქრით მოცულს ღრმად მიმეძინა. ვნახე სიზმარი.

მშვენიერი გაზაფხულის დილა იდგა. წყნარი, ცეცხლის ალივით მოელვარე ცა სიამოვნების ღიმილით დედამიწას დაჰქათქათებდა და არემარეს განახლებას უქადდა. ცის სივრცე თან და თან ნათდებოდა, ბრწყინვალე მზეს ადგილს უმზადებდა და ყველას ბედს აბარებდა.

ბრჭყვინავი მზეც, ოქროს ზოდივით, მედიდურად ცას მიესვენა, თვისი ნაპეწკლები აქეთ-იქით გასტყორცნა და გუნდ-გუნდად ჩაკონილ კოკრებს ალერსიანად შეუთამაშა, გაუღიმა და ნორჩ კოკორს ფრთები შეასხა.

მზის სხივი ყველას ჰკურნავდა. მხოლოდ ჩაგრული ნორჩი ია დიდ ბუჩქის ძირას მიტოვებული, დაღონებული მწარედ სტიროდა, რადგან მზის სხივი მას არ ხვდებოდა... მზესთან ალერსი, მის სხივის ძალით გამობრუნება მასაც სწყუროდა, სიცოცხლე სწადდა, მაგრამ უზარ-მაზარ ეკლიან ბუჩქებსკი, ეკლით მოჭედილ ზღუდით შეეპყრო და სარკმლიდგანაც არ ახედებდა...

ყველა მცენარეს გაზაფხულის მკურნალი სიო დასტრიალებდა, ყველა ხარობდა, თავისუფლად დათარეშობდა, მხოლოდ ის კი ბორკილებში სული სდიოდა...

მცენარის ამგვარი ბედისწერა სულს მიხუთავდა; მის ბუჩქის ძირის, მიწის გულიდან, მთლად ამოფშვნეტა გულიოა მწადდა, მაგრამ ვერ შევსძელ...

დაღონებული სადღაც შორისკენ გადაკარგვას ვესწრაფებოდი, რომ ამ დროს გაზაფხულის ყვავილებით კოპწიად მორთული პატარა ცირა ჩემს გვერდით გაჩნდა და გაშტერებით შემმყურებდა:

„წავიდეთ. ერთად ვითამაშოთ“, მითხრა პატარამ და მსწრაფლივ გიჟმაჟ გაზაფხულს მივატანეთ. მთელი მინდვრები, ნორჩ ბალახით მორთულ-მოკაზმული, დაუღალავად გადავირბინეთ, ვხტუნავდით, მხიარულად ვთამაშობდით; გულს ჯავრი ნელნელა ეცლებოდა, თან და თან სუყველაფერი მავიწყდებოდა.

ქარი—კი თავისებურად გრიალებდა...

*
* *

მზე თან და თან ახლოვდებოდა, ბრწყინდებოდა და სიმხურვალეს უმატებდა. ჩემი მეგობარი ლამაზ თვალ-წარმტაც ცირად გადიქცა, გამხმარ პურის თავთავების გვირგვინით თავი შეიმკო და სიამოვნების სახით გასცქეროდა იქით, სადაც ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ფერხულში ჩაბმულნი მხიარულად მღეროდნენ, იცინოდნენ, ტკრციალებდენ და ცეკვავდენ. ძვირფას მეგობარს, მწვავე თვალები შეუთამაშეს, წითელმა ტუჩებმა გაუღიმეს და მოუთმენლად შემომძახა: „წავიდეთ, ჩვენც მათთან ერთად ვიმღეროთ ვიტკრციალოთ, გვიყვარდეს ბუნება, ერთმანეთი“!...

მზე-კი მაღლა იწევდა, მაგრამ ქარი მაინც გრიალებდა...

*
* *

ფერხულში უსაზღვროდ ვმხიარულობდით, ვიცინოდით, ვხარხარებდით, მზე კი გვერდ-გვერდ იწევდა და თან სიცხოველე აკლდებოდა. მხიარულ ფერხულს მსწრაფლად განვშორდი და დაფიქრებულმა არეს გავხედე. ხის ნორჩი მწვანე ფოთლები მთლად დაყვითლებულიყვნენ და ნეტარ წარსულის სინანულით აღშფოთებული შრიალებდენ. ნაყოფ-დასხმული ხის ტოტები უძლურად დედამიწას დაყრდნობოდნენ და მძიმე ტვირთიდან განთავისუფლებას თხოულობდენ...

ჩემს, მეგობარს, კი კვლავ ვაზის ფოთლის გვირგვინებით თავი მოერთო და ორ პაწაწკინა ძვირფას შვილით წინ მომეგება:

— „ერთად ვიმუშაოთ“ მითხრა მეგობარმა და შევუდექით ნაყოფის კრეფას. დიდ ხან, დიდ ხანს მეგობრულად ვმუშაობდით, თან შვილების გიჟმაჟ ცელქობით ჩუმად ვსტკბებოდით.

მზე ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა, ქარი—კი ისევ გრიალებდა...

**
*

დიდ ხანს ვმუშაობდით.

ბოლოს დაღლილობა ვიგრძენ, ერთი წელში გავიმართე და მაღლა ცის სივრცეს გავხედე... მზე ჩასულიყო... არე-მარე მთლად თოვლს წაებურდნა და სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა.

ჩემი პატარა სახლი თოვლ-ყინულით მოქარგულიყო და გაყინულ ფანჯრიდან მხოლოდ ცეცხლის შუქი-ღა მოსჩანდა. მის კარის წინ წელში მოხრილი ბებერი დედაკაცი იდგა ნაღვლიანის თვალებით, ჩუმად მეძახდა: „აქ შემოდი, ერთად დავისვენოთ“.

ჩამოვჯექ სკამზე და ხმა-ამოუღებლივ ფანჯრიდან გარედ ვიცქირებოდი. ცა-მოწმენდილზე მთვარე ელვარებდა, მის შუქზედ შორს ძეგლებით მოფენილი სასაფლაო იხედებოდა. იქ, სასაფლაოსკენ, მიჩვენებად ბებერი დედაკაცი, იქიდან უნდა ველოდეთ კვლავ დაუსრულებელ გაბრწყინებულ დღეს...

ქარი მაინც გრგვინავდა...

გ. მოუსვენარისძე.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

დამოუკიდებელი ან ოქროს ხანა.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

„ვეფხვის ტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა.

XIII

სწორედ განცვიფრებაში მოყავს, „ვეფხვის ტყაოსანს“ მკითხველი თვის აზრთა სიმდიდრე—სიუხვით, სხვა და სხვა შეხედულობათა და შემეცნებათა მკაფიო და მახვილი გამოსახულობითი მსოფლმხედველობის სისწორე-სიღრმით და სულერ ვითარებათა ნაზ-ნარნარ, ბუნებრივ და ამასთან იდეალურ გამოხატვვთ. „ვეფხვის ტყაოსანი“ უშრეტი წყაროა, დაულეველი საგანძურია, უძირო ჭაა ღრმა და დიადი აზრების, უტყუარ მსოფლიო ჭეშმარიტებისა, სოციალურ ჰუმანიურ და სქესებრივ იდეალებისა, მაღალ ადამიანურ გრძნობისა და ნამდვილ ქრისტიანულ რწმენა-შემეცნებისა! და აკი სწორედ ამისათვის გახდა ის ერის „წმინდათა-წმინდად“, დაუფასებელ საუნჯედ, იმედ-ნუგეშად და მეორე სახარებად. ჯვარი, ,,ვეფხვის ტყაოსანი'' და სამშობლოს სიყვარული—აი სიმბოლო და ქვა-კუთხედი ქართულ ეროვნებისა; აი ის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც წინ უძღოდა ერს და დიდად ჭირ-ვარამიანს, მრავალ-ტანჯულს, მაგრამ გმირულს, ისტორიულს ცხოვრებაში. როგორც სახარების ღვთაებრივი სიტყვები სარწმუნოების სფერაში, ისე ,,ვეფხვის ტყაოსნის'' მხნე, მკვეთრი, დაჭედ-დაკვერილი აფორიზმები ალომებდა, აკაჟებდა ქართველს გულს და სადევ-გმირო, თითქმის საარაკო, საქმეებს ჩაადენინებდა ხოლმე ბრძოლის ველზე, სამშობლოს დაცვის დროს.

აბა რომელს ლაჩარს და სუსტს არ აღაფრთოვანებდა სიმხნე სიმამაცის ენერგიით მისი აფორიზმები, ერის გულიდგან ამოღებულნი და მისი წარსულ ,,ჯვაროსნულ'' ისტორიულ ცხოვრებით გაშუქებულნი! მაგ.: ,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი, ,,კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსელის მბეჭველსა'', ,,შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა'', ,,ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია'', ,,კაცი თუ ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმელია'' და სხვ.

ეს ოქროს სიტყვები, სიმხნე სიმამაცის ათი მცნებანი, თუ დროშაზე არა, გულის ფიცარზე მაინც ჰქონდა აღბეჭდილი ყოველივე ქართველს მეომარს.

განა ქართველი ქალი, ქართველი დედა ნაკლებ-გამამხნევებელ, ამაღელვებელ და წამებულ აზრ-შეხედულობის ჰპოებდა ,,ვეფხვის ტყაოსანში''?.. «ღელვა ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია», ან და „თუმცა ქალია ხელმწიფეთ, მართ ღვთისა დანაბადია“—ამ ჰუმანიზმით აღსავსე სიტყვებით რამდენ ქალს აღუვსებდა და აღუვსეს მადლობით, ენერგიით, მხნეობით და უანგარო შრომის სურვილით სულს და გულს!..

მეგობარი? მიჯნური? ახალგაზდა? ჭკვა-დამჯდარი და ჭირნახული? დაბალ შთამომავლობით კაცი?—ყველა, ყველა ჰპოებდა და ჰპოებს „ვეფხვის ტყაოსანში“ დარიგებას, ნუგეშს, სიამოვნებას, აღტაცებას გამხნევებას...

აი რისთვისაა რუსთაველი ყველასათვის საყვარელი! მის თხზულებაში ყველა ჰპოულობს თვის წყლულის წამალს, თვის სანუგეშო მალამოს, ბრწყინვალე იდეალს წმინდა სიყვარულისას და უანგარო მეგობრობასას...

ჩვენ შევეცდებით გაკვრით მაინც აღვნიშნოთ ცალ-ცალკე „ვეფხვის ტყაოსანში“ უხვად დაფანტული ბრძნული აზრები სხვა და სხვა საგნებზე და მოვლენებზე.

რუსთაველის შეხედულება პოეტზე და პოეზიაზე

ძველად და ახლაც ბევრნი პოეზიას საფუძვლად უდებენ **მშვენიერებას, სილამაზეს** ისე როგორც მეცნიერებას — **ჭეშმარიტებას.** ასეთი მსჯელობა—შეხედულება განმარტებას თხოულობს. რასაკვირველია, თავისთავად ცხადია, რომ **მშვენიერება** შედის, როგორც საჭირო და აუცილებელი ელემენტი, ყოველივე ხელოვნების არსებაში, მაგრამ ამავე დროს ხელოვნებაში უსათუოდ ისიც უნდა შედიოდეს, რაც შეადგენს არსებობას, მყოფობას ყოველივე შემგნებელ აზროვნებისას — **ჭეშმარიტება.** ჭეშმარიტება არის აუცილებელი საძირკველი პოეზიისა; ჭეშმარიტება ისეთივე შინაგანი მიზანია პოეზიისა, როგორც ცოდნისა*). ყოველივე სხვა გვარი შეგნება — შემეცნებისაგან პოეზია განირჩევა მხოლოდ იდეის გამოხატულობის ფორმით.

„მშვენიერება“ არ არის ერთად-ერთი მიზანი ხელოვნებისა; ის ისეთივე აუცილებელი ელემენტია ხელოვნებაში, როგორც **ჭეშმარიტება.** ამ გვარი

*) პოეზია იგივე მსჯელობაა, მხოლოდ არა იდეის დიალექტიურ განვითარების ფორმაში, არამედ იდეის სახეში მოვლინება—გამოცხადებაში. პოეტი არ ამტკიცებს ჭეშმარიტებას, ის აჩვენებს მას.

თანასწორუფლებიანი შეერთება—შეხამება ხელოვნებაში „ქეშმარიტებისა“ და „მშვენიერებისა“ ქმნის იმას, რომ ხელოვნურ განსჭვრეტაში ცხოვრების მოვლენანი აღწევენ კაცობრიულ გონების უმაღლეს მხარეს და ამ გონებას შეძლებას აძლევენ ხელოვნურ ნაწარმოებში გამოითქვას, გამოაშკარავდეს.

პოეზიაზე დღესაც არ არსებობს გადაჭრილი აზრ—შეხედულობა. დღესაც შეცდომით ბევრ ნიჭიერ პოეტ-კრიტიკოსებსაც ჰგონიათ, რომ საზოგადოდ ხელოვნებას, და კერძოთ პოეზიას, „მშვენიერება“ უნდა ედოს საფუძველადაო... ქართველი გენიოსიკი მ-XII საუკუნეში უთუოდ ქეშმარიტებად სთვლიდა იმას, რომ ,,შაირობა პირველადვე **სიბრძნისაა** ერთი დარგიო‘‘; ე. ი. რუსთაველი პოეზიას სთვლის ქაკობრაობის ჭკვა-გონების და სიბრძნის ისეთივე დარგად, როგორიც არის ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, მათემათიკა და სხვა მეცნიერებანი...

როგორია პრაქტიკული მნიშვნელობა საზოგადოდ ხელოვნებისა? კერძოდ: „რა სარგებლობა მოაქვს პოეზიას“? პასუხის მიგება ადვილია: თუ პოეტი **ასურათებს** სინამდვილეს,—მაშინ ის გვიადვილებს ცხოვრების შეგნებას; თუ ის **კიცხავს** სინამდვილეს,—მაშინ ის ჩვენ გვიაშკარავებს სიავე-სიბოროტეს და გვასწავებს მასთან ბრძოლას; თუ ის **გვიხატავს** ცხოვრების იდეალურ მხარეს,—მაშინ ის გვიჩვენებს, საითკენ წავიდეთ, სად არის ის ნიმუშები, მაგალითები, რომლებსაც ჩვენ უნდა წავბაძოთ. ცოტა უფრო სამძიმოა პასუხის მიგება იმ კითხვაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვთ იმ პოეტებს, რომლებიც ჰქმნიან ,,მხოლოდ ხელოვნებისათვის‘‘, „ხმა ტკბილ ჰანგებისა და ლოცვისათვის“ და რომლებსაც არა აქვთ მიზნათ ადამიანოს სამსახური. უნდა ვსთქვათ, რომ „წმინდა ხელოვნების“ ქურუმნიც არა ნაკლებ **სასარგებლონი** არიან იმ პოეტებზე, რომლებიც „ცოცხებს“ იღებენ ხელში, რათა გაჰხვეტონ ნაგავი ,,ხმაურიან ქუჩებიდან‘‘.—ყოველი დარგი ადამიანის მოქმედებისა ილტვის ჰქონდეს თვისი საკუთარი სამფლობელო და თხოულობს საკუთარს განვითარებას. მოქმედება, საქმე თავდაპირველად, თვით უნდა განვითარდეს და ის მხოლოდ მერე იწვევს ზედმოქმედებას სხვა რამეზე. ამისდა მიხედვით ყოველივე მეცნიერება იყოფება ორ გვარად: **წმინდა** მეცნიერება და **შერთული** მეცნიერება, ასევეა პოეზიის სამფლობელოშიაც.

აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი ცნობილი მწერალი*): „თქვენ გნებავთ, რომ ხელოვანი სარგებლო იყოს? მიეცით მას ნება, ნუ დაუშლით თავდაპირველად იყოს **ხელოვანი** და ნუ შეაკრთობთ მითი, რომ ის სრულის სიბეჯითით გართულია ისეთი შესწავლა-მომზადებით, რომელსაც მიზნად აქვს მხოლოდ საქმე ხელოვნებისა. როცა საქმე შესრულდება, როცა ის გამოცხადდება ქვეყნად, მაშინ აუცილებლად იქონიებს ზედგავლენას ადამიანის შეგნების და ცხოვრების ყოველივე მხარეზე... სუყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ერთი შთაბეჭდილება მშვენიერებისა“, თავის თავად, სასარგებლოა მით, რომ ავითარებს ადამიანში ესტეტიურ გრძნობას; უამგრძნობოთ კი შეუძლებელია სრული აღზრდა-განვითარება ადამიანისა. რაფაელის სურათებს არავითარი პრაქტიკული თანამედროვე ცხოვრების კითხვები არ გადაუწყვეტია, მაგრამ დიადი სიკეთე და დაუფასებელი სარგებლობა მოჰქონდათ და მოაქვთ ცხოვრებისათვის: მათ მძლავრად იმოქმედეს ცხოვრების „გაერთიანებაზე“... ამისათვის ტერმინიც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ საჭიროებს ახსნა-განმარტებას. ჩვეულებრივად, ეს ტერმინი ისე ესმით, ვითომ ხელოვანმა მიზნად უნდა დაისახოს სიმშვენიერე შექმნა—**შესრულებისა.** რასაკვირველია, თუ მართლა მხოლოდ **ასრულებას** მისდევს ხელოვანი, მაშინ ხელოვნება ჰკარგავს თვის შინაგან მიზანს—ხელი შეუწყოს ასე თუ ისე, ადამიანის შეგნების ნათელყოფას, სიცხადეს...

— სწორედ ასეთი სწორი, მართალი და ფართე შეხედულობა აქვს პოეზიის მნიშვნელობაზე რუსთაველს, ის არ სთვლის პოეზიას მიუწდომელ რამ სიწმინდედ, მხოლოდ ქურუმთა ნაწარმოებად, „ბულბულის ჭიკჭიკად„, ე. ი. ისეთ რამედ, რომელიც მხოლოდ სმენას ატკბობს და გულს და ჭკვას კი არ ასაზრდოებს. მას პოეზია ესმის, როგორც „მშვენიერება—სიბრძნის“, თანხმობითი და ჰარმონიული შეერთება-შეკავშირება, როგორც „სხეულის“ და „სულის“ მასაზრდოებელ-განმსპეტაკებელ სახსარ-საშუალება. ერთის სიტყვით, პოეზია, შოთას შეხედულობით, ყოველ მხრივ „დიდი მარგია, „საღრმთო საღრმთოთ გასაგონია“, ყველას „იაძებს, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“...

რა არის პოეზია? რითი განირჩევა ის უბრალო „მელექსეობისაგან“? მცნებებს: „პოეზია“ და „მელექსეობა“ წინადაც და ახლაც ბევრნი ურევენ ერთმანეთში, თითქოს სიტყვები ერთი და იგივე შინაარსის გამომხატველნი იყოს. თუ რომელიმე ნაწარმოები „გალექსილია“, და კარგად არის გალექსილი, ის, არამცთუ უბრალო მკითხველს, ხშირად „ნაფიც“ კრიტიკოსსაც, ჰგონია ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებად. და აკი ამისთვის ბევრს, რომელნიც უბრალო „მიწის შვილად“ არიან დაბადებულნი და აპოლონის წმინდა საკურთხეველის მიკარების ნებაც არა აქვთ, თავიანთ თავი «პოეტი» ჰგონიათ მაშინაც კი, როდესაც ამბობენ «უმსგავსოთ და შორი-შორს»...

«პოეზია» და «მელექსეობა» სულ სხვა და სხვა მცნებაა. პოეზია სიტყვიერი მხატვრობაა. ჰო-

*) სიპოვსკი.

რაციონმა*) სამართლიანად შეადარა მხატვრობას თუ პოეზია მხატვრობაა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ შედარება და ვსთქვათ, რომ «ლექსი» საღებავია, წამალია, რომელიც იხმარება, როგორც მასალა, მხატვრობაში. რასაკვირველია, იდეა ან გრძნობა, რომელიც განხორციელებულია, რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში, დიდად განირჩევა საღებავისაგან. «გალექსვა», «ლექსი»—წამალია, საღებავია, «პოეზია» კი—მის საშუალებით განხორციელებული იდეა, გრძნობა.

ამნაირად სულ სხვაა «მელექსეობა» და სულ სხვა—«პოეტობა». ნამდვილი არსება «პოეტობისა» შექმნაა, გამოგონებაა.

«შექმნილად» იწოდებოდა ყოველივე ისიც, რაც ადამიანის შემომქმედ ნიჭის—ფანტაზიის და საგონებელის—ძალით არყოფიდგან პირდაპირ ყოფაში გადმოტანია, მოვლინებულია.

«გმოგონება» არის შექმნა ფანტაზიის შემწეობით ცხად და ცოცხალ სახისა, ხატებისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება არც სინამდვილეს, არც ისტორიას და არც ადამიანის ლოღიკას. ის სახით აზროვნებაა, ფიქრია, როგორც ბელინსკი ამბობს. როგორ აზროვნობს პოეტი? ზოგნი ამბობენ—«შეგნებულადო,» ზოგნი კი—შეუგნებლადო. ჩვენის აზრით კი—ასედაც და ისედაც იმისდა მიხედვით, რომელი ნიჭი სჭარბობს პოეტში: გონება თუ ფანტაზია. პოეტი მუშაობს, ჰქმნის **შეგნებულად**, თუკი მასა ჭკვა-გონება მკვეთრი, გამოქნილი და დაკვირვებულია და სჯობნის ფანტაზიას და გულს. მაშინ ხშირად იდეა მის ნაწარმოებში გამოთქმულია უსახოთაც. და, თუკი პოეტი სუსტია, მაშინ იდეა ჩრდილავს მის სახეს, ხატობას და ხდება ტენდენციად. უკანასკნელ ჯურის პოეტების ნაწარმოებში გონება ასრულებს, ამთავრებს იმას, რის გამოთქმა და ცხად-ყოფა ვერ შესძლო ფანტაზიამ, სახემ. მათი ნაწარმოებნი მშრალი, უფერული და უსრულო არის, ასაზრდოებენ მხოლოდ ჭკუას, ფანტაზია—საგონებელს კი არა რას ეუბნებიან; აჯერებენ, ასწავლიან, არწმუნებენ, მაგრამ «არ ძალუძსთ სრულ—ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა»...

«შექმნა», «გამოგონება» სული და სიცოცხლეა პოეზიისა; «ლექსი», რითმა კი ხორცი, ან უფრო ვიწროდ, ენა. შესაძლოა «შექმნა», «გამოგონება» პროზით; შესაძლოა «გალექსვა» უბრალო და ნამდვილ მოქმედება-მოვლენათა. ბერძნების უდიდესი ფილოსოფოსი არისტოტელი*) ამბობს: ,,ლექსი'' და ,,პროზა'' ვერ გაარჩევენ პოეტს ისტორიკოსისაგან; ჰეროდოტის ისტორია ,,ლექსადაც'' რომ იქმნეს დაწერილი, ყოველთვინ, როგორც წინედ, დარჩება ისტორიად. პოეტი და ისტორიკოსი იმითი განირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ ისტორიკოსი მოქმედებას აღწერს ისე, როგორც იყო, პოეტი კი, როგორც უნდა ყოფილიყო''.

არჩევს თუ არა რუსთაველი უბრალო ,,მოლექსეს'' ნამდვილ ,,მოშაირესაგან''?

იპ. ვართაგავა.

*) შენ. თვის თხზულებაში «De arte prefica».

*) თვის „პოლიტიკაში" სადაც პოეზიის თეორიაა გადმოცემული.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განცხადება.

ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ეველაზედ უფრო მეტი უბედურობა კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი ბატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოკვეთულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდეგრობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად: გამოვა კრებული ოთხელ თვეურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორას ფურცლიანი. ბირველ ას ფურცელზე იქნება დაბეჭდილი ჩემი ახალი ნაწერები ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ასზე კი ძველი, უკვე სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დროს და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება. (მასალები მთელი წლის ე. ი. 12 წიგნისა მზადაა).

წლიური ფასი ერთი თუმანი, რომელიც განაწილდება ოთხად, თითო წიგნი-კი ეღირება თითო მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ჯერ-ჯერობით: თბილისში, წერა-კითხვის სახ. კანცელარიაში, ქუთაისში მთავრიშვილისა და ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში, დაწვრილებით შემდეგში.

აკაკი.

განყოფილებ **„პროგრესის"** სტამბისა სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი